“დინამო” (თბილისი) – “სპარტაკი” (მოსკოვი)

სსრ კავშირის პირველობის გათამაშება ფეხბურთში დასასრულს უახლოვდება. თითოეულ გუნდს სათამაშებელი დარჩა არაუმეტეს 5 მატჩისა. წლევანდელი გათამაშება დიდი დაძაბულობით ხასიათდება. სატურნირო ცხრილში ფეხდაფეხ მისდევენ ერთმანეთს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო გუნდები – მოსკოვის “სპარტაკი”, “დინამო”, ცდკა”, თბილისის “დინამო”. გუშინდლამდე ლიდერობდა “სპარტაკი”, რომელმაც 20 თამაშიდან მოაგროვა 31 ქულა. ამდენივე ქულა, მაგრამ 21 თამაშიდან აქვს “ცდკა”–ს. ამიტომ სავსებით გასაგები იყო ის დიდი ინტერესი, რასაც იწვევდა “სპარტაკისა” და თბილისის “დინამოს” გუშინდელი შეხვედრა, რომელიც შესდგა თბილისში ლ. პ. ბერიას სახელობის “დინამოს” სტადიონზე. 40 ათასზე მეტი მაყურებელი დაესწრო ამ მატჩს.

“სპარტაკი” მოედანზე გამოვიდა თავისი საბრძოლო შემადგენლობით. თბილისელების გუნდში არ თამაშობდა გაიოზ ჯეჯელავა. თავდასხმის ხუთეულში იყვნენ ანთაძე, პანიუკოვი, მახარაძე, არაშიძე და თოდრია, ნახევარდაცვაში – ჭელიძე და გაგუა, დაცვაში – კიკნაძე, ძიაპშპა, სარჯველაძე. თბილისელთა კარს იცავდა მარღანია.

თამაში დაიწყო სწრაფი ტემპით და იგი არ შენელებულა უკანასკნელ წუთამდე. თბილისელებმა ამჯერად გვიჩვენეს შეწყობილი, გააზრებული თამაში და დიდი ნებისყოფა გამარჯვებისადმი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ახალგაზრდა ფეხბურთელის თოდრიას თამაში. მისი სახით გუნდს ჰყავს კარგი თავდამსხმელი. “სპარტაკის” დამცველებმა ვერ მოახერხეს თოდრიას “ჩაკეტვა” და მან ბევრი სახიფათო მომენტი შექმნა სტუმრების კართან, მაგრამ სპარტაკელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მეკარე ლეონტიევმა ბევრჯერ გადაარჩინა კარი აშკარა გოლისაგან. ბევრი კარგი ბურთი აიღო მარღანიამაც.

პირველი ტაიმის დასასრულს თბილისელმა თავდამსხმელებმა გაითამაშეს ლამაზი კომბინაცია. მახარაძე მარჯვენა ფრთიდან მიუახლოვდა “სპარტაკის” კარს და 6–7 მეტრის მანძილიდან დაურტყა. ლეონტიევის აკრობატულმა ნახტომმა მიზანს ვერ მიაღწია. ბურთი ბადეშია. ანგარიშით 1:0 დამთავრდა პირველი ტაიმი.

მეორე ტაიმში ტემპი არ შენელებულა. სპარტაკელები ყოველ ღონეს ხმარობენ შესცვალონ ანგარიში, მაგრამ სარჯველაძემ, გაგუამ, ძიაპშპამ, კიკნაძემ და ჭელიძემ მაგრად ჩაკეტეს თავიანთი კარი. ინიციატივა კვლავ თბილისელთა ხელში გადავიდა და მათ დაიწყეს “სპარტაკის” კარის დაბომბვა. ერთ–ერთი ასეთი იერიშის დროს მეკარე ლეონტიევი იძულებული გახდა ბურთი მეორედ გამოეღო თავისი კარიდან.

“სპარტაკს” უკვე რეალური წაგების საფრთხე დაემუქრა. თამაში უფრო გამწვავდა, მაგრამ თბილისელთა დაცვა კვლავ სათანადო სიმაღლეზე აღმოჩნდა. მატჩი დამთავრდა თბილისელთა დამსახურებული გამარჯვებით ანგარიშით 2:0.

დიდი ხანია თბილისელ მაყურებელს არ უნახავს თავისი გუნდის ასეთი ბრწყინვალე თამაში. გუნდი თამაშობდა როგორც მტკიცე კოლექტივი. ძნელია იმის თქმა, ვინ უკეთ თამაშობდა. ასე უნდა თამაშობდეს გუნდი ყოველთვის, რადგან ამისათვის ყველა შესაძლებლობა აქვს.

თ.მ.

“კომუნისტი”, 28 აგვისტო, 1948 წ.